ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3989734

ნომერი: AR1603144

თარიღი : 23.05.2018

გაცემის თარიღი : 31.05.2018

გაცნობის თარიღი : 31.05.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გულუას ქუჩაზე ვულკანიზაციის საამქროს მიმდებარედ; ქალაქი თბილისი , გულუას ქ.ვულკანიზაციის საამქროს მიმდებერედ; ქალაქი თბილისი , ქუჩა გულუა , N 3 , მიმდებარედ (ნაკვ. 03/036);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან პერტაია პ/ნ 35001033450
- თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. I, კვ. #47, კორ. 2, ბ. 105

ნომენკლატურა :

- I კლასი
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით საპროექტო საჩრდილობელზე საყრდენი ბოძების მოწყობით ხდება მიწის ათვისება, რაც წარმოადგენს სამშენებლოდ განვითარებას. ვინაიდან საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს საზოგადოებრივ -საქმიან ზონა 2 (სსზ-2)-ში, სადაც „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების მე–16 მუხლის თანახმად ნაკვეთის მინიმალური ფართობი უნდა იყოს 700,0 კვ.მ, მინიმალური სიგანე - 20,0 მ., ხოლო მინიმალური სიღრმე - 30,0 მ., საპროექტო მიწის ნაკვეთი არ პასუხობს შესაბამის პარამეტრებს, კერძოდ მინიმალური სიღრმეს (რაც თქვენს შემთხვევაში შეადგენს 20,0 მ.), შესაბამისად ზემოაღნიშნული ნაკვეთის (ს/კ #01.18.05.003.094) სამშენებლოდ განვითარება ეწინააღმდეგება კანონმდებლობის მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ სარეკონსტრუქციო არეალი მდებარეობს ქალაქის გეგმარებით კარკასზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა შენობა-ნაგებობებს და მათზე განთავსებულ კონკრეტული დეტალების ვიზუალურ მხარეს, სამსახურს წარმოდგენილი სახით, საპროექტო საჩრდილობელზე საყრდენი ბოძების მოწყობა მიზანშეწონილად არ მიაჩნია. შესაძლებელია მხოლოდ ფასადის შელესვა/შეღებვა და მსუბუქი კონსტრუქციის (ტენტის სახის), მცირე გაბარიტული ზომის, საყრდენი ბოძების გარეშე საჩრდილობლის მოწყობა.

აღნიშნულის გათვალისწინებით წარმოსადგენია განახლებული ფოტომონტაჟი, ყველა მასალისა და გაბარიტული ზომის მითითებით. ასევე, წარმოადგინეთ დღეის მდგომარეობით გადაღებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალა, სადაც ფოტოაპარატის მიერ დაფიქსირებული იქნება გადაღების თარიღი.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.